



ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების
სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო
თელავის მუნიციპალიტეტი სოფელი იყალთოს ბაგა-ბაღი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:

ხარისხის ექსპერტი: თინათინ თოიძე

წევრები:

კურიკულუმის ექსპერტი: ქეთევან ბერუაშვილი

კვების დარგში ექსპერტი: ალექსანდრე თათარიშვილი

სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების ექსპერტი: ლალი აღადაშვილი

ნაწილი I. ზოგადი ინფორმაცია

1. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
სამართლებრივი ფორმა	არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირი
საფირმო სახელწოდება	თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ზაღების მართვის სააგენტო
საიდენტიფიკაციო ნომერი	431435878
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ადგილის სახელწოდება (არსებობის შემთხვევაში)	თელავის მუნიციპალიტეტი
სახელწოდება ინგლისურ ენაზე (არსებობის შემთხვევაში)	
სექტორი	საჯარო
ინფორმაცია მოთხოვნილი სტატუსის შესახებ	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება
2. საკონტაქტო ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ	
იურიდიული მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	საქართველო,ქ.თელავი, ილია ჭავჭავაძის გამზ,N4
პროგრამ(ებ)ის განხორციელების ფაქტობრივი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი/დაბა/სოფელი/ქუჩა და N)	თელავის მუნიციპალიტეტი,სოფ.იყალთოს ზაგა-ზაღი



დაწესებულების სტატუსის მაძიებლის ვებ-გვერდი (არსებობის შემთხვევაში)		
3. ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ		
დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი) ☒	დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი) ☐	
4. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ		
ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	Mes9250001029537	
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	17-18 სექტემბერი 2025წ.	
5. ინფორმაცია ბავშვების შესახებ (ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე)		
წინა ავტორიზაციის ფარგლებში საბჭოს მიერ განსაზღვრული ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა	ჩარიცხული ბავშვების რაოდენობა	
6. ინფორმაცია ადრეული აღზრდისა და განათლების დაწესებულების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების სტატუსის მაძიებლის პროგრამ(ებ)ის შესახებ		
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №76 დადგენილების დანართი №1-ის სახით დამტკიცებული "ადრეული აღზრდისა და განათლების ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულების მიერ ავტორიზაციის გავლის, აგრეთვე დაწესებულების ავტორიზაციის შეჩერებისა და შეწყვეტის დროებითი წესი"-ს მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ იმ პროგრამის სახე/სახეები, რომლის განხორციელებაც სურს დაწესებულების სტატუსის მაძიებელს.		

N	პროგრამის სახე ¹	კურიკულუმ(ებ)ის დასახელება	პროგრამის განხორციელების ენა	პროგრამის განხორციელების მიდგომა (არსებობის შემთხვევაში) (ბილინგვური/ მულტილინგვური)	თვითშეფასების მიხედვით პროგრამაზე მოთხოვნილი ბავშვების ადგილების ზღვრული რაოდენობა
1	სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა	1.ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ 2.სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“	ქართული		45 ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდირებული ბავშვთა რაოდენობაა 58 არ ეთანხმება ☐

7. ვიზიტის პროცესის საერთო მიმოხილვა

2025 წლის 17-18 სექტემბერს ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოს ბაგა- ბაღში. ვიზიტის პროცესი იყო საქმიანი, მშვიდი და თანამშრომლობაზე ორიენტირებული. თანამშრომლები ჩართული იყვნენ ინფორმაციის ოპერატიულად მოწოდებისა და ინტერვიუების პროცესში. დაწესებულებაში მოისმინეს ექსპერტთა ჯგუფის მიგნებები სტანდარტებთან მიმართებაში და აღნიშნეს, რომ ვიზიტის პროცესში დასმული შეკითხვებისა თუ საჭირო დოკუმენტაციის გამოთხოვის დროს, კიდევ უფრო მკაფიოდ გაიაზრეს არსებული გამოწვევები და საჭიროებები. ასევე მზადყოფნა გამოთქვეს მომავალში გუნდურად იმუშავონ და დაგეგმონ პროცესების გასაუმჯობესებლად სხვადასხვა სახის აქტივობები.

მოკლედ აღწერეთ დაწესებულების სტატუსის მაძიებელში ვიზიტთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები

¹ აისახოს მხოლოდ ის პროგრამა/პროგრამები, რომელიც მითითებულია დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაში. პროგრამის სახის სპეციფიკის/რაოდენობის გათვალისწინებით შესაძლებელია დაემატოს ველები.

8. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც დაწესებულების სტატუსის მაძიებლის გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....

.....

9. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

.....

.....

.....

.....

ნაწილი II: ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

10. ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების სქემა		
სტანდარტი/კომპონენტი	დაწესებულების თვითშეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
ავტორიზაციის I სტანდარტის შეფასების სქემა		
1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.1. დაწესებულების მისია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2. სტრატეგიული განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის II სტანდარტის შეფასების სქემა² <i>(პროგრამის სახე სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა (კურიკულუმის დასახელება ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“)</i>		
2. კურიკულუმი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

² ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე



2.1. კურიკულუმის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2. კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის III სტანდარტის შეფასების სქემა		
3. ოჯახისა და თემის ჩართულობა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ავტორიზაციის IV სტანდარტის შეფასების სქემა		
4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2. პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



4.3. მატერიალური რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.7. ფინანსური რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება



ნაწილი III. ავტორიზაციის I, II, III და IV სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

სარჩევი

- 1.1. დაწესებულების მისია
- 1.2. სტრატეგიული განვითარება
- 2.1. კურიკულუმის დაგეგმვა
- 2.2. კურიკულუმის განხორციელება
- 2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება
- 3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა
- 3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება
- 4.1. პერსონალის მართვა და განვითარება
- 4.2. პროცესების მართვა
- 4.3. მატერიალური რესურსი
- 4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი
- 4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები
- 4.6. ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოება
- 4.7. ფინანსური რესურსი

1. დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1. დაწესებულების მისია

1.1.1. დაწესებულებას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში

1. დაწესებულების მისია ეხმიანება ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვას და განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ სივრცეს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს მისია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის

N854.2625205001 24.07.2025წ.ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში:,, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა”. მისია ჟღერს შემდეგნაირად:,,თელავის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღების მისიაა უზრუნველყვით აღსაზრდელებისათვის უსაფრთხო, თავისუფალი, ადაპტური, ინკლუზიური, უნივერსალური, ეკომეგობრული, ჯანსაღ სოციალურ-ემოციურ ურთიერთობასა და თამაშზე დაფუძნებული გარემო. საინტერესო, ჰოლისტური, ასაკთან შესაბამისი, სწორად შერჩეული სასწავლო-სააღმზრდელო კურიკულუმით, მრავალფეროვანი რესურსებით, საინტერესო აქტივობებით, ოჯახთან და თემთან ურთიერთობით, კეთილდღეობაზე ორიენტირებული მიზნებით და ბავშვების საუკეთესო ინტერესების დაცვით.” წარმოდგენილ მისიაში გამოკვეთილია ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე გაკეთებული აქცენტი და განსაზღვრულია დაწესებულების როლი, როგორც სივრცისა,რომელიც ბავშვის კეთილდღეობაზეა ორიენტირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ხედვა და ღირებულებები, რომელიც წარმოდგენილია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54.2625205001 24.07.2025წ.ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში: „ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა“. დაწესებულების ხედვაა: თელავის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღები მომავალში იქნება კახეთის რეგიონში წარმატებული ინსტიტუცია, რომელსაც ექნება სრულყოფილად აღჭურვილი, ადაპტური სასწავლო-სააღმზრდელო გარემო, ეყოლება ხარისხზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური და საკმარისი ადამიანური რესურსები, რომლებიც ჩართულები იქნებიან მუდმივი განვითარების პროცესში. დაწესებულების ღირებულებებია:

1. გუნდურობა და პოზიტიური თანამშრომლობა - თელავის საბავშვო ბაგა-ბაღები ეყრდნობა გუნდური მუშაობის პრინციპებს, კოლეგიალურ, პოზიტიურ და ჰარმონიულ თანამშრომლობას.
 2. აღსაზრდელო უფლებების დაცვა, სამართლიანობა და ტოლერანტობა - ჩვენს ბაღებში ვაღიარებთ, ვიცავთ და პატივს ვცემთ კონვენციით აღიარებულ ბავშვთა უფლებებს, ვაწვდით თანაბარ მომსახურებას, ვქმნით ხელმისაწვდომ გარემოს, ვუდგებით სამართლიანად. გამომდინარე ეთნიკური უმცირესობების ტერიტორიული განსახლებიდან ტოლერანტობა წარმოადგენს ჩვენს ერთ-ერთ მთავარ ღირებულებას.
 3. ინოვაციურობა და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა - თელავის ბაგა-ბაღები ჩართულები არიან სასწავლო-პროფესიულ ტრენინგებში უწყვეტად, ინოვაციების დანერგვის თვალსაზრისით ეტაპობრივად ხდება სისტემის მოდერნიზება.
 4. მოქნილი და აღსაზრდელო ინტერესებზე მორგებული კურიკულუმი - ინტეგრირებული სწავლება, განმავითარებელი აქტივობები და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა ჩვენთვის ყოველდღიური საქმიანობის მნიშვნელოვანი ღირებულებითი ნაწილია, სადაც დაცულია უნივერსალური მიდგომები და გარემოს მოწყობის პრინციპი.
 5. გამჭვირვალობა, ღიაობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა - პროცესის გამჭვირვალობა, მშობლების, თემის და სხვათა ჩართულობის უზრუნველყოფა შეადგენს თელავის ბაგა-ბაღების სისტემის ფუნქციონირებისას მნიშვნელოვან ნაწილს.
 6. აღსაზრდელო და თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა - საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული ადამიანის უფლებები და თანასწორობის პრინციპული ღირებულებები დაცულია თელავის სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში, რაზეც თანხმდება სააგენტოს და ბაღების ყველა თანამშრომელი.
- დაწესებულების ხედვა და ღირებულებები გამომდინარეობს დაწესებულების მისიიდან. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების ჩართულობით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების შემუშავების პროცესი ასახულია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54.2625205001 24.07.2025წ.ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში: „ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა”, სადაც აღნიშნულია, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები მუშავდება დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. ინტერვიუს დროს ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორმა აღნიშნა, რომ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში ჩართული იყო თვითონ, სააგენტოს თანამშრომლები და ბაგა-ბაღების მენეჯერები, რაც დასტურდება სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმით N 1. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებულ მხარეებთან და საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარების პროცესი ასახულია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54.2625205001 24.07.2025წ.ბრძანებით დამტკიცებულ დოკუმენტში: „ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა”, სადაც აღნიშნულია, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები ზიარდება დაინტერესებულ მხარეებთან ელექტრონული ფოსტის საშუალებით, გამოიკრება საინფორმაციო დაფაზე, გაეცნობა მშობლებსა და პერსონალს პირისპირი შეხვედრების საშუალებით, რაც დადასტურდა შეხვედრების ოქმებით ოქმიN1 და ოქმიN2. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54.2625205001 24.07.2025წ.ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი: „ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა”.
2. მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების ოქმები (იყალბოს ბაგა-ბაღის ოქმი 1 და ოქმი 2)
3. ინტერვიუს შედეგები ბაგა-ბაღის მენეჯერთან, ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორთან.

შეფასება:

1.1. დაწესებულების მისია			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

1.2. სტრატეგიული განვითარება

1.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს დაგეგმვის პრაქტიკა

1. დაწესებულებას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს და ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის Nბ54.2625205001 24.07.2025წ. ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა“. აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ სტრატეგიული გეგმის შესამუშავებლად, დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტებულია შემდეგი წევრებისგან: ა(ა)იპ თელავის საბავშვო ბაღების გაერთიანების თანამშრომლები, საბავშვო ბაღების მენეჯერები, პრაქტიკოსები, მშობელთა კორპუსი დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნული ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N ბ54.26251882 07.07.2025წ..მეთოდოლოგიაში ასევე გაწერილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად სასწავლო-სააღმზრდელო წლის ბოლოს, რასაც ისმენს და განიხილავს საკონსულტაციო საბჭო და შეიმუშავებს დასკვნებს გეგმის გაუმჯობესების მიზნით. სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი ახდენს გეგმების განხილვას და საჭიროების შემთხვევაში გეგმაში ცვლილებების შეტანას ახორციელებს. თუმცა გაწერილი არ არის დაწესებულება რა მეთოდებით მოახდენს გეგმების შეფასებისა და მონიტორინგის პროცესს. ასევე სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში გაწერილია მისია, ხედვა და ღირებულებები, swot ანალიზი და სტრატეგიული გეგმა. ყველაფერი ეს ერთი დოკუმენტის სახითაა წარმოდგენილი და დამტკიცებული 24.07.2025წ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიეცეს რეკომენდაცია: პირველ ეტაპზე ბრძანებით დამტკიცდეს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, შემდეგ მეთოდოლოგიის მიხედვით ბრძანებით დამტკიცდეს სამუშაო ჯგუფის

შემადგენლობა, რომელიც შეიმუშავებს სტრატეგიულ გეგმას .აღნიშნული გეგმა კი ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით დამტკიცდება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ.წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღისთვის, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში ბრძანებით დაამტკიცებენ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, შემდეგ შექმნიან სამუშაო ჯგუფს ,რომელიც შეიმუშავებს სტრატეგიულ გეგმას, რაც დირექტორის ბრძანებით დამტკიცდება, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის არანაკლებ ხუთწლიანი, ციკლური და შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54.2625205001 24.07.2025წ. ბრძანებით დამტკიცებულია ,, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა.აღნიშნული გეგმა ხუთწლიანია და მოიცავს 2025-2030წ.განმავლობაში განსახორციელებელ მიზნებს, რომლებიც შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სტრატეგიულ გეგმაში გაწერილი აქვს 5 ძირითადი მიზანი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება;
2. საბავშვო ბაღებში განათლების კომპონენტის ხარისხის ამაღლება, სრულყოფა;
3. ადამიანური რესურსის გაძლიერება/ საკმარისი კადრებით უზრუნველყოფა;
4. ოჯახის, მშობლისა და თემის სისტემატური ჩართულობის უზრუნველყოფა;
5. ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვა.

ამ მიზნებიდან გამომდინარე განსაზღვრულია მიზნის შესაბამისი ამოცანები., მაგრამ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და გეგმა ერთ დოკუმენტშია დამტკიცებული. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია არ არის.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიეცეს რეკომენდაცია: ჯერ დამტკიცდეს მეთოდოლოგიური დოკუმენტი, შემდეგ კი მის მიხედვით შეიქმნას სტრატეგიული გეგმა, რომელიც ცალკე დამტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ. წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღისთვის, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში ბრძანებით დაამტკიცებენ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, შემდეგ სტრატეგიულ გეგმას, რაც დირექტორის ბრძანებით დამტკიცდება, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სტრატეგიულ გეგმას და დაწესებულების ყოველწლიურ თვითშეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N ბ54. 26252063 2 5/07/2025 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი სოფელ იყალთოს ბაგა-ბაღის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული გეგმა არის ერთწლიანი, ეფუძნება სააღმზრდელო წელს და სტრატეგიულ გეგმას. სამოქმედო გეგმაში გაწერილია 4 ძირითადი მიზანი: 1. საბავშვო ბაღის ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. 2. საბავშვო ბაღში განათლების ხარისხის ამაღლება. 3. ადამიანური რესურსის გაძლიერება/საკმარისი კადრებით უზრუნველყოფა. 4. ოჯახის, მშობლისა და თემის სისტემატური ჩართულობის უზრუნველყოფა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54. 26252065 25/07/2025 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი სოფელ იყალთოს ბაგა-ბაღის 2025-2026წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნულ გეგმაში გაწერილია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. მაგალითად:

სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობა N1 სივრცეების გაუმჯობესება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აქტივობა შეესაბამება სტრატეგიულ მიზანს N1 თელავის მუნიციპალიტეტის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება. გეგმაში გაწერილია აქტივობის გაზომვადი ინდიკატორი-შეფასებული ჯგუფების რაოდენობა. აქტივობის შესრულების ვადა გაწერილია სექტემბრიდან ივნისამდე. პასუხისმგებელ პირად განსაზღვრულია ბაგა-ბაღის მენეჯერი. დაფინანსების წყაროდ-სააგენტოს ბიუჯეტი. მსგავსად არის გაწერილი ყველა სხვა შესასრულებელი აქტივობები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

5. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54. 2625205001 24.07.2025წ. ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და

2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა აღნიშნულ მეთოდოლოგიაში გაწერილია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული საკითხების შესრულების შეფასება ხდება ყოველწლიურად, ყოველი სასწავლო-სააღმზრდელო წლის ბოლოს საკონსულტაციო საბჭო ისმენს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს და შეიმუშავებს დასკვნებს გეგმის გაუმჯობესების მიზნით. მას განიხილავს სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რის შემდეგაც მიგნებებს/დასკვნებს გაითვალისწინებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენისას და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანის საჭიროების განსაზღვრისას. მეთოდოლოგიაში არ არის გაწერილი რა მექანიზმის საშუალებით მოახდენს დაწესებულება მონიტორინგსა და შეფასებას. დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში მოხდება აღნიშნული საკითხის მოგვარება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიეცეს რეკომენდაცია; შესაბამისობის გეგმაში წარმოდგენილ ვადაში (12 თვეში) გაიწეროს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი, რადგან მონიტორინგის და შეფასების მექანიზმის არსებობა წარმოადგენს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის განუყოფელ ნაწილს, რომელიც შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს აკმაყოფილებს თუ არა სტრატეგიული გეგმა მიზნებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მნიშვნელოვანია განისაზღვროს მონიტორინგისა და შეფასების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე რეკომენდებულია, რომ სტრატეგიული გეგმის შეფასება, ერთ სტრატეგიულ ციკლში განხორციელდეს ორჯერ, შუალედური და საბოლოო შეფასების სახით. შუალედური შეფასება (მაგალითად, 2,5 წლის შემდეგ) .

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

6. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები საჯაროდაა ხელმისაწვდომი და გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54.2625205001 24.07.2025წ. ბრძანებით დამტკიცებულია „ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა აღნიშნული მეთოდოლოგიის მიხედვით საკონსულტაციო საბჭო ისმენს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს და შეიმუშავებს დასკვნებს გეგმის გაუმჯობესების მიზნით. მას განიხილავს სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რის შემდეგაც მიგნებებს/დასკვნებს გაითვალისწინებს ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შედგენისას და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების

შეტანის საჭიროების განსაზღვრისას. აღნიშნულის განხილვის შედეგად, ასევე, შესაძლებელია სტრატეგიის დოკუმენტსა და მონიტორინგის გეგმაში შეტანილ იქნეს ცვლილებები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიეცეს რჩევა :მეტად უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროობა მაგ. საჯაროდ გამოაქვეყნოს სტრატეგიული გეგმის და სამოქმედო გეგმის ფარგლებში მომზადებული ანგარიშები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. . ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N854.2625205001 24.07.2025წ. ბრძანებით დამტკიცებული ,, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია და 2025-2030 წლების სტრატეგიული გეგმა.
2. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N854. 26252065 2 5/07/2025 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი სოფელ იყალთოს ბაგა-ბაღის 2025-2026წლების სამოქმედო გეგმა.
3. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N 854.26251882 07.07.2025წ ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნასთან დაკავშირებით.
- 4.ინტერვიუს შედეგები ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორთან,ბაღის მენეჯერთან.



შეფასება:

1.2. სტრატეგიული განვითარება

შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐
--------------------------------------	--	---	---

2. კურიკულუმი³

პროგრამის სახე

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების პროგრამა

კურიკულუმის დასახელება

1. ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“

2. სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“

2.1. კურიკულუმის დაგეგმვა

2.1.1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის დაგეგმვის პრაქტიკა

1. პროგრამის განხორციელებისას დაწესებულება ხელმძღვანელობს წინასწარ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N 54. 26252042 დამტკიცებული კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესის მე-2 მუხლის მიხედვით:

1. კურიკულუმის შერჩევის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნა; (წარმოდგენილია ბრძანება N 54.2625188001)

ბ) ჯგუფის მიერ არსებული კურიკულუმების გაცნობა; (წარმოდგენილია კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის სხდომის ოქმი N2)

³ მეორე სტანდარტის „კურიკულუმის“ ყველა ველი ივსება თითოეული პროგრამისათვის ცალ-ცალკე.

გ) კურიკულუმის/კურიკულუმების შერჩევა;

დ) კურიკულუმის/კურიკულუმების დამტკიცება.

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 23 ივლისის ბრძანებით №54. 26252042 , დამტკიცებული კურიკულუმები: ადრეული განათლების კურიკულუმი „თამაში“ და სასკოლო მზაობის პროგრამა „თამაში“.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულების მიერ შერჩეული/შემუშავებული კურიკულუმი ხელს უწყობს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი წინასწარ შერჩეული და დამტკიცებული კურიკულუმები უზრუნველყოფს ბავშვების ჩართულობას სამი თემატური მიმართულებით(ხელოვნება, წიგნიერება და მეცნიერება), ხელს უწყობს შესაბამისი თემატური მიმართულების ფარგლებში აღსაზრდელებისათვის მრავალფეროვან თამაშებში ჩართულობას, მასში ინტერესით მონაწილეობას ჰოლისტური განვითარების მიზნით, აღნიშნული აქტივობები/თამაშები ეფუძნება ჯგუფის ერთობასა და კვლევა-აღმოჩენას. აღნიშნული აქტივობები/თამაშები უზრუნველყოფს ბავშვის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებას შემდეგ სფეროებში: შემეცნებითი, მეტყველების, სოციალური, ემოციური და ფიზიკური. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებით დადგენილი შედეგების მიღწევას, აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. კურიკულუმი ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმები, თავისივე მიზნებიდან გამომდინარე ეფუძნება თამაშს და ითვალისწინებს ბავშვს, როგორც აქტიურ მონაწილეს საკუთარი სწავლისა და განვითარების პროცესში რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში“, და „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“. დაწესებულებას ასევე აქვს წარმოდგენილი დღის განრიგი სადაც ნათლად ჩანს თამაშისათვის გამოყოფილი დრო/ხანგრძლივობა, რომელიც მოიცავს დღის უმეტეს ნაწილს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. კურიკულუმი ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები ითვალისწინებს ოჯახთან/თემთან თანამშრომლობას და მათ ჩართულობას, რაც დასტურდება დაწესებულების მიერ შემოთავაზებული კურიკულუმებით „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში „ და „ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“, იგი მიზნად ისახავს ოჯახებთან აქტიურ თანამშრომლობას, ბაღის საგანმანათლებლო საქმიანობაში მონაწილეობას, ბავშვის სწავლასა და განვითარებაში მშობლის უწყვეტ ჩართულობასა და მშობელთა უწყვეტ განათლებას ბავშვის განვითარების საკითხებთან დაკავშირებით შემდეგი ფორმით:

1. მშობლის ჩართულობა მოხალისეობრივ აქტივობებში, ბუნებრივი და მეორადი მასალების შეგროვება/დამზადების პროცესში მონაწილეობა;
2. მშობლებისათვის ცოდნისა და საქმიანობის გაზიარების მიზნით თანამშრომლობა მაგ: ექიმის, მეხანძრის სატატუსით ბაღში მოწვევა;
3. მშობლებთან შეხვედრები სადამზრდელო პროცესებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება;
4. მშობლებისათვის ბავშვის ინდივიდუალური განვითარების პროცესის განხილვა;
5. თემის რესურსის გამოყენება საგანმანათლებლო პროცესში და მათი გამოცდილების გაზიარება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

5. კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ შერჩეული კურიკულუმი ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობას რაც დასტურდება დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით „სასკოლო მზაობის პროგრამა თამაში„ და “ადრეული განათლების კურიკულუმი თამაში“. აღნიშნული კურიკულუმი ითვალისწინებს აღსაზრდელების მრავალფეროვან გამოცდილებებში მონაწილეობის შესაძლებლობას: საუბრის, აზრის გამოთქმის, შექმნის, გამოგონების, კვლევის, მოსმენის, წიგნებთან ურთიერთობის, ფიზიკური აქტივობის, რისკიანი თამაშებისა და მრავალფეროვანი მასალების გამოყენებას. აღნიშნული აქტივობებში ჩართვისას ხდება ბავშვის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება. აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

6. კურიკულუმი გაზიარებულია დაწესებულების პერსონალთან და მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით № 54.26251603 დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ ამ წესის მე-3 მუხლის მიხედვით, კურიკულუმს უზიარებს მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ამის დასტურად დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს 2025 წლის 14 მარტით დათარიღებული მშობლებთან შეხვედრის ოქმი N 1, კურიკულუმი გაზიარებულია დამტკიცების შემდგომაც, რის დასტურადაც დაწესებულებამ წარმოადგინა თითოეული ჯგუფის აღმზრდელების მიერ ჩატარებული მშობელთა კრების ოქმები, სადაც დღის წესრიგის ერთერთი თემა ეთმობა კურიკულუმის გაცნობას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით № 54.26251603 დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“;

2. მშობლებთან შეხვედრის ოქმი N 2;
3. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 23 ივლისის ბრძანება №54. 26252042 , კურიკულუმის დამტკიცების შესახებ;
4. კურიკულუმის შერჩევაზე პასუხისმგებელი ჯგუფის შექმნის ბრძანება № 854.2625188001;
5. მშობელთა კრების ოქმები.

შეფასება:			
2.1. კურიკულუმის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა შეესაბამება კურიკულუმით განსაზღვრულ პერიოდულობას და ხანგრძლივობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა სადაც გრძელვადიანი გეგმის დამტკიცება განსაზღვრულია 2025 წლის სექტემბრის თვეში, ადგილზე ვიზიტისას მათ აღნიშნეს, რომ მიმდინარეობს შემუშავების პროცესი და დამტკიცდება თვის ბოლოს. დაწესებულებამ წარმოადგინა გრძელვადიანი გეგმის შაბლონი ხელნაწერი სახით, სადაც თვეების მიხედვით არის გაწერილი შესასრულებელი აქტივობები. მათ მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ფორმები არ არის დამტკიცებული ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ, 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით №54. 26251604 დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, მე-3 მუხლის მე- 5 პუნქტის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებილი

რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უზრუნველყოს, ზემოთ აღნიშნული დადგენილი წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმების დამტკიცება ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ.წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ზაგა-ბაღისთვის,სადაც გაწერილია,რომ 12 თვის ვადაში ბრძანებით დამტკიცებენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმებს ,ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმის შესაბამისი გეგმა/გეგმების შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ხორციელდება ჯგუფის საგანმანათლებლო პერსონალის მიერ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ, 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N854.26251604 დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი,აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლში- საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შემდეგი:

1. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ეტაპზე დაწესებულება აყალიბებს კურიკულუმის შესაბამის გეგმებს (შემდგომ - გეგმა/გეგმები).
2. გრძელვადიანი გეგმა იქმნება თელავის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან საგანმანათლებლო პერსონალი, მეთოდისტი და საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი.ამასთან, შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის გაზიარება ხდება დანარჩენ საგანმანათლებლო პერსონალთან სააგენტოს დირექტორის მიერ დამტკიცებამდე.
3. მოკლევადიანი გეგმა იქმნება თითოეული ჯგუფის ყველა იმ საგანმანათლებლო პერსონალის მიერ, რომელიც უშუალოდ მუშაობს ბავშვთან. მოკლევადიანი გეგმის შემუშავების პროცესის ზოგად მეთვალყურეობას ახდენს საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორი/მეთოდისტი.

5.დაწესებულების მიერ ამ მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმები დამტკიცებულია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

მიუხედავად ზემო აღნიშნულისა, დაწესებულებას არ აქვს შესრულებული მე-5 პუნქტი, რაც გულისხმობს, გაერთიანების დირექტორის მიერ, მასთან შეთანხმებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ბრძანებით დამტკიცებას, აღნიშნული ინდიკატორის მოთხოვნა კი უნდა იკითხებოდეს გეგმებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად უზრუნველყოს, დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესის მიხედვით მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმების დამტკიცება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ. წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღისთვის, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში ბრძანებით დაამტკიცებენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმებს, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ჯგუფის საჭიროებებსა და ინტერესებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ, 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N ბ54.26251604 დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით განსაზღვრულია რომ გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავებისას გათვალისწინებულია ჯგუფის საჭიროებები და ინტერესები, ამავე მექანიზმით დამტკიცებული ბავშვის შეფასების ფორმა (დანართი N1) ითვალისწინებს ჯგუფის საჭიროებების გამოვლენას საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსური ჩანაწერების დღიურით.

მათ მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ფორმები არ არის დამტკიცებული ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ, 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N ბ54. 26251604 დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად უზრუნველყოს, დაწესებულების საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესის მიხედვით მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმების დამტკიცება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ.წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღისთვის,სადაც გაწერილია,რომ 12 თვის ვადაში ბრძანებით დაამტკიცებენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმებს ,ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

4. საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში შექმნილი დოკუმენტაცია ასახავს ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ, 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით №54. 26251604 დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, აღნიშნული დოკუმენტის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით განსაზღვრულია შემდეგი, რომ გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების შემუშავებისას გათვალისწინებულია ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებები. დაწესებულებამ ადგილზე წარმოადგინა გეგმის ფორმა, რომელიც ითვალისწინებს ინდივიდუალიზაციას, ასევე შესაძლებელია კვირის ანალიზის გაკეთება. ამავე მექანიზმით დამტკიცებული ბავშვის შეფასების ფორმა(დანართი N1) ითვალისწინებს ინდივიდუალურ საჭიროებების გამოვლენას საგანმანათლებლო პერსონალის რეფლექსური ჩანაწერების დღიურით.

მათ მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ფორმები არ არის დამტკიცებული ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის მიერ, 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით №54. 26251604 დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის,მე-3 მუხლის მე- 5 პუნქტის მიხედვით.ასევე არ არის დამტკიცებული ინდივიდუალური საჭიროების გეგმის ფორმა.ასევე არ არის დამტკიცებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად უზრუნველყოს, დაწესებულების მიერ მე-3 მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმებისა და ინდივიდუალური საჭიროების გეგმის ფორმის დამტკიცება ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.ასევე უზრუნველყოს ბავშვის ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტების დამტკიცება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ.წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ზაგა-ბაღისთვის,სადაც გაწერილია,რომ 12 თვის ვადაში ბრძანებით დაამტკიცებენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი, ინდივიდუალური საჭიროების გეგმის ფორმებს ასევე ინდივიდუალური შეფასების ინსტრუმენტს ,ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

5. თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესის, მათ შორის ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

გასაუბრების შედეგებითა და დღის განრიგით დასტურდება რომ თამაში/თამაშის ელემენტები საგანმანათლებლო პროცესისა და ტრანზიციის წარმართვის ძირითადი ხერხია-ტრანზიციის მოიცავს ცეკვას, მუსიკას და ვიზუალური მინიშნებებით აქტივობიდან აქტივობაზე გადასვლას. აღნიშნული ინდიკატორი ასევე დასტურდება სააღმზრდელო გარემოს შიდა და გარე სივრცეების მოწყობის თავისებურებებით, სივრცე, შესაბამისი რესურსები, როგორც ბუნებრივი ასევე მეორადი, რაც ბავშვებს აძლევს საშუალებას იყვნენ შემოქმედებითი, თავისუფლები არჩევანში და გადაინაცვლონ სხვა რეალობაში. თამაშის ელემენტების ამოკითხვა შესაძლებელია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მოკლევადიანი გეგმის ფორმაში ტრანზიციის ნაწილში, თუმცა მათ მიერ წარმოდგენილი გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმების ფორმები არ არის დამტკიცებული ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N854. 26251604 დამტკიცებული საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი, მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებამ ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად უზრუნველყოს, აღნიშნული წესის მე-3 მუხლით დადგენილი წესით შემუშავებული მოკლევადიანი და გრძელვადიანი გეგმების ფორმების დამტკიცება ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ.წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ზაგა-ბაღისთვის,სადაც გაწერილია,რომ 12 თვის ვადაში ბრძანებით დაამტკიცებენ გრძელვადიანი და მოკლევადიანი გეგმის ფორმებს,ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

6. დღის განმავლობაში თითოეულ ზავშეს აქვს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად, ისე ჯგუფურად როგორც შენობაში, ისე მის გარეთ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შიდა და გარე სივრცის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ:

ჯგუფის შიდა სივრცეში მოწყობილია კურიკულუმის განხორციელებისათვის საჭირო თემატური ცენტრები: დრამატული,კონსტრუქციული, სამაგიდო,სენსორული, კვლევითი, შემოქმედებითი და მოძრავი თამაშებისათვის განკუთვნილ სივრცეებად, როგორც ჯგუფურ ოთახში ასევე სააქტო და სპორტულ დარბაზში. სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსით, არსებული რესურსი ხელმისაწვდომია და მონიშნულია შესაბამისი ნახატებით/სიმბოლოებით, რაც ადასტურებს კურიკულუმის შესაბამისი სხვადასხვა თამაშის დაგეგმვის შესაძლებლობას. **გარე სივრცეში** მოწყობილია სენსორული თამაშებისათვის საქვიშე, ფიზიკური/მოძრავი აქტივობებისათვის სივრცე სადაც არ არის საქანელები, დრამატული სივრცე, რომელიც არ არის აღჭურვილი შესაბამისი რესურსით რაც ართულების ზავშეებისთვის ცენტრის დანიშნულების ამოცნობას. გარე სივრცეში არ არის რისკიანი თამაშებისათვის განკუთვნილი სივრცე და არც შესაბამისი აღჭურვილობა სადაც ზავშეს მიეცემა საშუალება ჩაერთოს ისეთ თამაშებში რომელიც მოიცავს გამოწვევებს,დაკავშირებულია სიმაღლეებთან, სისწრაფესთან, წინააღმდეგობებისა და ბარიერის გადალახვასთან, იგულისხმება შესაბამისი აღჭურვის არ არსებობა მაგ: საძრომ, საცოცი აღჭურვილობა.დაწესებულებაში ასევე არ არის მზისგან და წვიმისგან დამცავი საჩრდილობელი.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა დღის განრიგი სადაც დროის უმეტესი ნაწილი ეთმობა თამაშს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის **მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უზრუნველყოს ინდიკატორის შესაბამისობის აღწერის გათვალისწინებით, გარე სივრცეში კურიკულუმის შესაბამისი თემატური სივრცის/ცენტრების მოწყობა იმგვარად, რომ შენობის გარეთ ზავშეებს ჰქონდეს სხვადასხვა ტიპის თამაშში ჩართვის საშუალება როგორც ინდივიდუალურად ასევე ჯგუფურად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ.წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ზაგა-ბაღისთვის,სადაც გაწერილია,რომ 12 თვის ვადაში უზრუნველყოფენ ზაგა-ბაღის ეზოს მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად.,ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.2. დაწესებულების საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულებაში მოქმედებს საგანმანათლებლო პროცესის რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის მექანიზმი

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N854. 26251604 დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული წესის მე-5 მუხლი ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროცესის უზრუნველსაყოფად რესურსების განსაზღვრას, დაწესებულება რესურსების განსაზღვრისას ითვალისწინებს მათ მიერ დამტკიცებული კურიკულუმების მიზნების შესაბამისად მრავალფეროვანი რესურსების შერჩევას/შეგროვებას და ითვალისწინებს ჰოლისტურ მიდგომას, ამავე მუხლის მიხედვით დაწესებულებაში მოქმედებს მინიმალური რესურსების ნუსხა, რომელსაც ამტკიცებს ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი. ამ წესის მე-6 მუხლი საგანმანათლებლო პროცესის რესურსით უზრუნველყოფის ორგანიზება მოიცავს რესურსების შეუფერხებლად უზრუნველყოფის სქემას, რომლის მიხედვითაც, დაწესებულება წინასწარ აკეთებს ინვენტარიზაციას, ასევე ითვალისწინებს ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებს, საჭირო რესურსის ნუსხას და შესაბამისად ხდება მოთხოვნილი რესურსების შესყიდვა/განახლება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

2. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით №54.26251604 დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნულ მექანიზმში მე-5 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულია შემდეგი: მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის განსაზღვრა ხორციელდება საგანმანათლებლო პერსონალის ჩართულობით და მტკიცდება ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის ბრძანებით კურიკულუმთან ერთად. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი ნუსხის დამტკიცების ბრძანება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უნდა წარმოადგინოს მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების ნუსხა, რომელიც ითვალისწინებს კურიკულუმით გათვალისწინებულ მიზნებს და დამტკიცებულია აღწერაში ნაგულისხმევი წესის შესაბამისად.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ. წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღისთვის, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში უზრუნველყოფენ მინიმალური საგანმანათლებლო რესურსების სიის დამტკიცებას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2.2.3. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეების მოწყობა უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას

1. ჯგუფური ოთახის და გარე სივრცის ფიზიკური გარემოს მოწყობა განსახორციელებელი კურიკულუმის შესაბამისია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების შიდა და გარე სივრცეები დათვალიერების შედეგად დადგინდა რომ :

დაწესებულების შიდა და გარე სივრცე მოწყობილია მის მიერ შერჩეული კურიკულუმის შესაბამისად:

შიდა სივრცე - მოწყობილია კურიკულუმის შესაბამის შემდეგ თემატურ ცენტრებად: დრამატული, სამაგიდო თამაშების, მეცნიერების, წიგნიერების, ფიზიკური და სენსორული. ასევე გამოყოფილია დილის წრისათვის განკუთვნილი სივრცე, თუმცა ჯგუფურ ოთახებში არ არის სივრცე განმარტობისათვის. სივრცეებთან არის მინიშნებები ნახატებითა და სიმბოლოებით. აღნიშნული გარემოება ბავშვებს აძლევს არჩევანის საშუალებას, თუ რა ტიპის თამაშში ჩაერთონ და თავისუფლად მოიპოვოს მის მიერ შერჩეული თამაშის შესაბამისი რესურსი, რის

შესაძლებლობასაც ასევე იძლევა რესურსის განლაგება, მისი ხელმისაწვდომობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. შიდა სივრცეში არსებული თემატური სივრცეების განლაგება იძლევა ბავშვების თავისუფლად გადაადგილების საშუალებას, მათი ერთმანეთისაგან გამოჯვანა კი მდებარეობის გარჩევის/განცალკევების საშუალებას. გარემო არის შეცდომებისადმი ტოლერანტული, ინვენტარი, რესურსები არ არის ბავშვებისათვის საფრთხის შემცველი. ჯგუფებში მოქმედებს ვიზუალური განრიგი, რაც ბავშვებს აძლევს საშუალებას ადვილად მიხვდნენ მოქმედებების/დღის განრიგის თანმიმდევრობას. პატარა ასაკის ბავშვებისათვის წიგნები მყარი ფურცლებითაა და სამაგიდო რესურსებიც ლამინირებულია. შიდა სივრცის მოწყობა სრულად ვერ უზრუნველყოფს ბავშვის ჰოლისტურ განვითარებას.

გარე სივრცე - მოწყობილია ფიზიკური აქტივობების, დრამატული და სენსორული აქტივობებისთვის. აღნიშნული ცენტრები აღჭურვილია ბუნებრივად და ხელოვნურად შექმნილ რბილ საფარზე, რაც ქმნის შეცდომებისადმი ტოლერანტულ გარემოს. ფიზიკური აქტივობისთვის გამოყოფილ სივრცეში არ არის ხელმისაწვდომი საქანელები ან სხვა რომელიმე ბალანსის აღჭურვილობა. დრამატული სივრცე არ არის რაიმეთი მონიშნული და არც რესურსითაა აღჭურვილი, რაც ართულებს ცენტრების ამოცნობას და გამოყენებას დანიშნულებისამებრ.

გარე სივრცეში არის განმარტოებისათვის კარავი/სახლი ასევე საჩრდილობელი და რისკიანი თამაშებისათვის განსაზღვრული სივრცე, შესაბამისი საძრომ/საცოცი აღჭურვილობით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე სივრცის მოწყობა კურიკულუმის შესაბამის ცენტრებად კონკრეტულად კი, ფიზიკური, რისკიანი და დრამატული თამაშებისათვის სივრცის, საჩრდილობელისა და განმარტოებისათვის სახლის/კარვის მოწყობა შესაბამისი აღჭურვილობითა და ინვენტარით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ. წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღისთვის, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში უზრუნველყოფენ ბაგა-ბაღის ეზოს მოწყობას კურიკულუმის შესაბამისად, ცენტრებად ფიზიკური, რისკიანი და დრამატული თამაშებისათვის სივრცის, საჩრდილობელისა და განმარტოებისათვის სახლის/კარვის მოწყობას შესაბამისი აღჭურვილობითა და ინვენტარით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების შიდა და გარე სივრცეში საგანმანათლებლო რესურსების ორგანიზება განსაზღვრული კურიკულუმის შესაბამისი და ბავშვებისთვის ხელმისაწვდომია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

შიდა და გარე სივრცის ფიზიკური დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ :

შიდა სივრცეში არსებული თემატური ცენტრები აღჭურვილია კურიკულუმის შესაბამისი რესურსით, თუმცა მეორადი და ბუნებრივი რესურსები საკმაოდ მწირია, რომელიც ხელმისაწვდომია და მარტივად საორიენტაციო შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფების აღსაზრდელებისათვის. მასალები დახარისხებულია და აქვს იარაღები, რომელიც ბავშვებს აძლევს მარტივად გარჩევის საშუალებას. ზოგიერთი რესურსი კი მოთავსებულია გამჭვირვალე ყუთებში.

გარე სივრცეში წარმოდგენილი ფიზიკური/მომრავი თამაშებისათვის განკუთვნილი სივრცე აღჭურვილია მხოლოდ სენსორული და ფიზიკური თამაშებისათვის განკუთვნილი რესურსითა და ინვენტარით რაც ორგანიზებულია იმგვარად, რომ ხელმისაწვდომია და მარტივად საორიენტაციო შესაბამისი ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელებისათვის თუმცა არ არის საქანელები და ბალანსის სხვა აღჭურვილობა, დრამატული თამაშების სივრცე არ არის აღჭურვილი შესაბამისი რესურსით. არც რისკიანი თამაშებისთვისაა მოწყობილი რაიმე ტიპის სივრცე, სადაც განთავსებული იქნება ბავშვებისათვის ხელმისაწვდომ და უსაფრთხო გარემოში საძრომ/საცოცი საშუალებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **არ არის დაკმაყოფილებული.**

რეკომენდაცია

დაწესებულყამ უზრუნველყოს გარე სივრცის რისკიანი თამაშებისა და განამარტოებისათვის სივრცის მოწყობა/ შესაბამისი რესურსით აღჭურვა მათთვის ხელმისაწვდომ ადგილას. ასევე უზრუნველყოს დრამატული სივრცეში შესაბამისი რესურსის ორგანიზება ბავშვებისათვის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ. წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღისთვის, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში უზრუნველყოფენ ბაგა-ბაღის გარე სივრცის რისკიანი თამაშებისა და განამარტოებისათვის სივრცის მოწყობას/ შესაბამისი რესურსით აღჭურვას მათთვის ხელმისაწვდომ ადგილას. ასევე უზრუნველყოფენ დრამატული სივრცეში შესაბამისი რესურსის ორგანიზებას ბავშვებისათვის ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

3. ჯგუფური ოთახები მოწყობილია იმგვარად რომ ბავშვს აქვს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში მონაწილეობის, ასევე დასვენებისა და განმარტოების შესაძლებლობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბავშვთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესის მიხედვით, ჯგუფური ოთახების სიდიდე შეესაბამება ბავშვების რაოდენობას, არსებული სივრცე მათ აძლევს აქტიურ და პასიურ, მცირე და დიდ ჯგუფურ აქტივობებში ჩართვის საშუალებას. დასვენებისა და განმარტობისათვის, ჯგუფში არსებობს ცალკე მოსასვენებელი/დასაძინებელი ოთახი, ბავშვების შესაბამის რაოდენობაზე გათვლილი სამინებლებით და ჯგუფში არსებული მოსასვენებელი სივრცე/კარავი, რომელიც ხელმისაწვდომია დღის ნებისმიერ დროს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2.2.4. დაწესებულებაში მოქმედებს ბავშვზე დაკვირვების და შეფასების პრაქტიკა

1. საგანმანათლებლო პერსონალი თანმიმდევრულად იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის ბრძანებით N854.26251604 დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“. აღნიშნული მექანიზმის მე-8 მუხლის-ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მექანიზმის მე-2 პუნქტის მიხედვით დაწესებულება იყენებს ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს:

- ა) ობიექტური დაკვირვების ჩანაწერები;
- ბ) მოკლე კითხვარები;
- გ) ჩექლისტები;

აღნიშნულ წესს ახლავს (დანართი N1) ბავშვის შეფასების ფორმაბავშვის შეფასებისათვის გასათვალისწინებელი სავალდებულო კომპონენტებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. შეფასება ემსახურება თითოეული ბავშვის ინტერესების, საჭიროებების, პროგრესის გამოვლენას განვითარების ყველა სფეროში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 23 ივნისის ბრძანებით N 854.26251604 დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების მექანიზმის მიხედვით დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს:

ა) ბავშვის ინტერესებისა და საჭიროებების გამოვლენას;

ბ) ბავშვის პროგრესის დანახვას განვითარების ყველა სფეროში;

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. შეფასების შედეგები გამოყენებულია საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვისთვის/მოდულიზაციისთვის

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ამ ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ზაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით №54.26251604 დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ მე-8 მუხლის მე-10 პუნქტის მიხედვით :

ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების შედეგების ანალიზისა და გამოვლენილი საჭიროებებზე რეაგირება ხორციელდება:

- ა) მოკლევადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- ბ) გრძელვადიანი გეგმების შედგენა/კორექტირების გზით;
- დ) საგანმანათლებლო რესურსების განსაზღვრის დროს;
- ე) დაწესებულების სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

აღნიშნული ჩანაწერის შინაარსის მიხედვით დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასების შედეგების გამოყენებას/ასახვას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვასა და მოდიფიცირების პროცესში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

4. ბავშვის შეფასების პროცესი ითვალისწინებს ოჯახის ჩართულობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად დაწესებულებამ წარმოადგინა, ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის, 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N854.26251604 დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“ მე-8 მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის მიხედვით, დაწესებულების მიერ შემუშავებული ბავშვზე დაკვირვებისა და შეფასების სისტემა უზრუნველყოფს: ოჯახის ჩართულობას ბავშვის შეფასების პროცესში, მშობლები ინდივიდუალურა გაეცნობიან ბავშვის პორტფოლიოს, სადაც იქნება მოთავსებული ბავშვზე დაკვირვების ჩანაწერები, მისი ნამუშევრები, რომელიც მისცემს მათ საშუალებას პერიოდულად გაეცნონ ბავშვის განვითარებასა და საჭიროებებს. ამავე წესის მიხედვით მშობელს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს როგორც პირისპირ ასევე წერილობით და სატელეფონო გასაუბრებითაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N854.26251604 დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესი“
2. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.
3. საგანმანათლებლო პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:			
2.2. კურიკულუმის განხორციელება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება

2.3.1. დაწესებულებას აქვს კურიკულუმის შეფასებისა და განვითარების პრაქტიკა

1. დაწესებულებაში მოქმედებს კურიკულუმის შეფასების პრაქტიკა, რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროცესისა და ფიზიკური გარემოს შეფასებას, უკუკავშირს მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლისგან და საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N ბ45 26251603 დამტკიცებული “კურიკულუმის შერჩევის, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“, რომლის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით კურიკულუმის შეფასების მიზანია დაწესებულებამ დაადგინოს, რამდენად ეფექტიანად ინერგება კურიკულუმის სხვადასხვა კომპონენტი და რამდენად მიიღწევა კურიკულუმით განსაზღვრული მიზნები და პროცესი ეფუძნება :

- ა) საგანმანათლებლო პროცესის შეფასებას;
- ბ) ფიზიკური გარემოს შეფასებას;
- გ) მშობლების უკუკავშირს;
- დ) საგანმანათლებლო პერსონალის თვითრეფლექსიას;

აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც კურიკულუმის შეფასებისა და განვითარებისთვის განსაზღვრული აქვს 12 თვე. რადგან ამ ეტაპისათვის არ დამდგარა კურიკულუმის შეფასების და შესაბამისი ცვლილებების განხორციელების ეტაპი, ვერ იქნება გათვალისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

2. დაწესებულება აანალიზებს შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს კურიკულუმში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების გაერთიანების დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N 845 26251603 დამტკიცებული „კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი, რომლის მე-5 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების მიხედვით კურიკულუმში ცვლილების განხორციელების საფუძველია კურიკულუმის შეფასების საფუძველზე გაკეთებული მიგნებები ან/და რეკომენდაციები, ასევე კურიკულუმში განხორციელებული ცვლილებები შესაძლებელია იყოს მასშტაბური ხასიათის ან წერტილოვანი. კურიკულუმის შეფასება ხორციელდება 2 წელიწადში ერთხელ.

1. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს:
 - ა) თემატური მიმართულებების მიხედვით კონკრეტული სამიზნე შინაარსის ცვლილებას;
 - ბ) კურიკულუმის მიზნების დაზუსტებასა და რეფორმულირებას;
 - გ) ბავშვზე დაკვირვების კონკრეტული ინსტრუმენტის შეტანას;
 - გ) საგანმანათლებლო რესურსის შეცვლას/გამრავალფეროვნებას;
 - დ) ფიზიკური გარემოს გადაწყობა /გამრავალფეროვნებას;
 - ე) ცვლილებებს ბავშვების მახასიათებლების გათვალისწინების მიდგომებში;
 - ვ) საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის ხანგრძლივობის შეცვლას;
 - ზ) ცვლილებებს დროით გარემოში (დღის განრიგში);
 - ი) ცვლილებები ოჯახის და თემის ჩართულობის ნაწილში;
 - კ) კურიკულუმის გაზიარების მექანიზმის სრულყოფას;
2. კურიკულუმში წერტილოვანი ცვლილებები შედის დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.
3. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შეიძლება უკავშირდებოდეს:
 - ა) კურიკულუმის შეცვლას;
 - ბ) შექმნილ კურიკულუმში ახალი კურიკულუმ(ებ)ის დამატებას/ ან ამოღებას .
4. კურიკულუმში მასშტაბური ცვლილებები შედის შემდეგი ეტაპების დაცვით:
 - ა) ამ წესით დადგენილი ეტაპების დაცვით ახალი კურიკულუმი შერჩევა/კურიკულუმის ახალი ჩარჩოს შექმნა;
 - ბ) ხარისხის უზრუნველყოფის გარე პროცესის პროგრამის დამატების გავლა.

აღნიშნულიდან გამოდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ზაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N ბ4526251603“კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“

3. ოჯახისა და თემის ჩართულობა

შეფასება:			
2.3. კურიკულუმის შეფასება და განვითარება			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა

3.1.1. დაწესებულება ღიაა ოჯახთან და თემთან თანამშრომლობისთვის

1. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან თანამშრომლობისთვის წინასწარ გეგმავს აქტივობებს ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 13 ივნისის N 54. 26251644 ბრძანებით დამტკიცებული საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი რომელის მიზანია უზრუნველყოს სააგენტოში შემავალი ბაგა-ბაღების სისტემური, ეფექტიანი და მრავალმხრივი კომუნიკაცია როგორც შიდა, ისე გარე აუდიტორიებთან. აღნიშნული წესის დანართად დაწესებულებამ წარმოადგინა იყალთოს ბაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმა 2025-2026 წ. (დანართი N1), რომელიც ითვალისწინებს მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისა და თემის თანამშრომლობასა და ჩართულობას, დაწესებულების მიერ განსახორციელებელ აქტივობებში.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ საკომუნიკაციო გეგმაში გაწერილი აქტივობები/ღონისძიების შინაარსი ჩაშალოს უფრო დეტალურად, კონკრეტულ აქტივობებზე.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. დაწესებულება წახალისებს თემის და მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ჩართულობას კურიკულუმის ფარგლებში დაწესებულების შიგნით/გარეთ განხორციელებულ ღონისძიებებში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

სააღმზრდელო პერსონალთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ სააღმზრდელო პროცესის დაწყებისას იგეგმება ყოველი კვირის დასაწყისში მშობლებისათვის კვირის გეგმის გაცნობა მშობელთა კუთხეზე, სადაც მათ ექნებათ შესაძლებლობა საკუთარი ინიციატივით ჩაერთონ აქტივობებში, ბუნებრივი და მეორადი რესურსები ს უზრუნველყოფისა და გასვლითი აქტივობების ორგანიზების კუთხით, აღნიშნული ფორმით მშობელთა ჩართულობის საკითხებს მომავალში განიხილავენ როგორც საკონსულტაციო საბჭოზე ასევე მშობელთა კრებებზე, სადაც ასევე სურვილისამებრ გადაინაწილებენ პასუხისმგებლობებს. გარდა გასაუბრებისა დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის № 54. 26252069 ბრძანებით დამტკიცებული იყალთოს ბაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმა 2025-2026“ სადაც ასახულია თემთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან დაგეგმილი აქტივობები.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისას იყენებს კომუნიკაციის მრავალფეროვან მეთოდებს და არხებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას შემუშავებული აქვს საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი, რომელიც დამტკიცებულია “კურიკულუმის შერჩევის, გაზიარების, შეფასებისა და განვითარების მარეგულირებელი წესი“ ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის ბრძანებით N ბ54.26251644, ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და თემთან ურთიერთობისათვის დაწესებულება იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს და საკომუნიკაციო არხებს:

- პირისპირ შეხვედრები;
- დისტანციური შეხვედრები, ელექტრონული პლატფორმების გამოყენება;
- მატერიალური კორესპოდენცია;
- საინფორმაციო დაფები;
- სატელეფონო ზარები;
- ელექტრონული ფოსტა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის N 854.26251644 ბრძანებით დამტკიცებული "საკომუნიკაციო გეგმის შედგენის წესი",
2. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის № 854. 26252069 ბრძანებით დამტკიცებული ვარდისუბნის ზაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმა 2025-2026;
3. სააღმზრდელო პერსონალთან გასაუბრების შედეგები.

შეფასება:			
3.1. თანამშრომლობის დაგეგმვა			
შეესაბამება ☒	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება

3.2.1. დაწესებულება მიზნობრივად წარმართავს ოჯახთან და თემთან ურთიერთობას

1. დაწესებულება უზრუნველყოფს მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა ცნობიერების ამაღლებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, ზავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების სპეციფიკასთან დაკავშირებით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებამ წარმოადგინა მშობლებთან განხორციელებული ტრენინგების ამსახველი/დამადასტურებელი დოკუმენტები (მიმოწერა, ფოტო მასალა) შემდეგ ტრენინგებზე:

1. „პოზიტიური მშობლობა“, ორგანიზებულია გაერთიანების მიერ;
2. „ინკლუზიური განათლება“ ორგანიზებულია გაერთიანების მიერ.

სტანდარტი მოითხოვს შემდეგი სავალდებულო საკითხების შესახებ მშობელთა ცნობიერების ამაღლებას, და დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება ბავშვთა უფლებების, ადრეული ასაკის ბავშვების ასაკობრივი თავისებურებებისა და განვითარების შესახებ, ამ ეტაპზე საკომუნიკაციო გემაში ან სამოქმედო გემაში გაწერილი აქტივობების სახით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული.

რეკომენდაცია

ინდიკატორის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად დაწესებულებამ უზრუნველყოს სტანდარტით და კურიკულუმით გათვალისწინებული სავალდებულო თემებთან დაკავშირებული მშობელთა ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების დაგეგმვა/დოკუმენტირება და შესაბამისად შესრულება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ. წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღისთვის, სადაც გაწერილია, რომ 12 თვის ვადაში უზრუნველყოფენ სტანდარტით და კურიკულუმით გათვალისწინებული სავალდებულო თემებთან დაკავშირებული მშობელთა ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობების დაგეგმვას/დოკუმენტირებას და შესაბამისად შესრულებას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

2. მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები ინფორმირებული არიან ბავშვების შეფასების შედეგების შესახებ

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N 854.26251604 დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“ მე-9 მუხლის მიხედვით:

1. დაწესებულება უზრუნველყოფს ბავშვის შეფასების შედეგების მშობლისთვის/კანონიერი წარმომადგენლისთვის გაცნობას;
2. ბავშვის შეფასების შედეგები განხილვა ბავშვის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ხორციელდება ინდივიდუალურად.

საკომუნიკაციო გემის შედეგების წესში დაწესებულებას საკომუნიკაციო არხებში გაწერილი აქვს პირისპირ შეხვედრები რა დროსაც მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა ინდივიდუალურად გაეცნონ ბავშვის პორტფოლიოში არსებულ ბავშვის შეფასების შედეგებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება იყენებს თემში არსებულ რესურსებს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელებისას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

საადმინისტრაციო პერსონალთან გასაუბრებით დასტურდება, რომ კურიკულუმის განხორციელების პროცესში მომავალში მოიაზრებენ აქტივობებს თემში არსებული დაწესებულებებისა და მათი წარმომადგენლების ჩართულობას, როგორცაა: ბიბლიოთეკა, სალონი, სუპერმარკეტი, ასევე მედიცინის მუშაკების, მეხანძრისა და შეფშარეულის მოწვევას.

დაწესებულებამ წარმოადგინა ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის № 854. 26252069 ბრძანებით დამტკიცებული ვარდისუბნის ბაგა-ბაღის საკომუნიკაციო გეგმა 2025-2026, სადაც გაწერილ აქტივობებში გათვალისწინებულია თემთან თანამშრომლობა, აქტივობების განხორციელების მიზნით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

სასურველია დაწესებულებამ საკომუნიკაციო გეგმაში კონკრეტულად გაწეროს თემთან განსახორციელებელი აქტივობები.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აფასებს ოჯახთან/თემთან განხორციელებულ აქტივობებს და საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს შესაბამის ცვლილებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N 854.26251604 დამტკიცებული „ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“, მე-11 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით აქტივობების შეფასების ერთ ერთი კომპონენტია მშობლების უკუკავშირი. რომლის გათვალისწინებაც ხდება ინფორმაციის დამუშავების დროს და აისახება ცვლილებებში. დაწესებულებამ წარმოადგინა აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებაში შესაბამისობის გეგმა, რომლის განსახორციელებლადაც განსაზღვრულია 12 თვე.რადგანაც დაწესებულებამ წარმოადგინა საკომუნიკაციო გეგმა 2025-2026 წლისათვის , აღნიშნული გეგმის მიხედვით არ დამდგარა ცვლილების საჭიროება, მოცემული გარემოებიდან გამომდინარე ინდიკატორის დასაკმაყოფილებლად ამ ეტაპზე არ იქნება გათვალისწინებული შესაბამისობის გეგმა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია.**

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის 2025 წლის 9 ივნისის ბრძანებით N 854.26251604 დამტკიცებული „ საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის შეფასებისა და რესურსებით შეუფერხებლად უზრუნველყოფის წესის“
- 2.მშობლებთან ტრენინგების ორგანიზების/განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულება(მიწერილობა ელ-ფოსტაზე,facebook პოსტები).

შეფასება:			
3.2. თანამშრომლობის განხორციელება და შეფასება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4. სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესის მხარდაჭერა⁴

4.1. პერსონალის მართვა და განვითარება

4.1.1. დაწესებულების ორგანიზაციული მოწყობა და პერსონალის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. დაწესებულება დაკომპლექტებულია პერსონალით, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად ფუნქციონირებას და ითვალისწინებს ბავშვთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების მიერ დანართი N9 სახით წარმოდგენილია დაწესებულების სტრუქტურა -ორგანოგრამა, რომელიც განსაზღვრავს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს , იერარქიას,დაქვემდებარებასა და ანგარიშვალდებულებას.ასევე წარმოდგენილია სამტატო ნუსხა პოზიციებისა და რაოდენობის მიხედვით.ბაგა-ბაღში არის 19 თანამშრომელი.(1 მენეჯერი,1 მწე,1მედეა 1 მუსიკის მასწავლებელი, 4 აღმზრდელი.5 აღმზრდელის თანამშემწე,1 სადამოს აღმზრდელი,1 სადამოს აღმზრდელის თანამშემწე,1 მზარეული,1 მზარეულის თანამშემწე 1დამლაგებელი,1 მეეზოვე)დაცულია კანონდებლობის შესაბამისად აღმზრდელებისა და ბავშვების თანაფარდობა.ინტერვიუს შედეგად ბაგა-ბაღის მენეჯერთან გამოიკვეთა,რომ იმ შემთხვევაში ,თუ ბაღში სპეციალური საჭიროების ბავშვი დარეგისტრირდება, დაწესებულება მიმართავს თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს და იქ არსებული ადრეული ინტერვენციის სპეციალისტი ჩაერთვება პროცესში, შეაფასებს აღსაზრდელის მდგომარეობას,მულტიგუნდის საშუალებით რომლის წევრები არიან საგანმანათლებლო პერსონალი, ადრეული ინტერვენციის პერსონალი და მშობელი.დაიწერება განვითარების ინდივიდუალური გეგმა,თუმცა ბავშვის ინდივიდუალური საჭიროების შემთხვევაში (ფსიქოლოგის, ლოგოპედის ,სპეც.პედაგოგის) მოხდება გადამისამართება ბაღის გარეთ არსებულ სპეციალისტთან,რადგან საბავშვო ბაგა-ბაღს არ ჰყავს შესაბამისი სპეციალისტი და ვერ უზრუნველყოფს აღნიშნულ მომსახურებას,ამრიგად ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

⁴ აღნიშნული სტანდარტის შეფასებისას გაითვალისწინეთ დაწესებულების სტატუსის მამიებლის თითოეული პროგრამის სახის/კურიკულუმის სპეციფიკა და დამატებით წარმოადგინეთ მათი შეფასების შესახებ ინფორმაცია (ასეთი საჭიროების შემთხვევაში).

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიეცეს რეკომენდაცია ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროების დასაკმაყოფილებლად უზრუნველყონ შესაბამისი სპეციალისტების მოზიდვა, ან მომსახურების შესყიდვა.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ. წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღისთვის, სადაც გაწერილია, რომ 24 თვის ვადაში უზრუნველყოფენ ბავშვთა ინდივიდუალური საჭიროების დასაკმაყოფილებლად შესაბამისი სპეციალისტების მოზიდვას, ან მომსახურების შესყიდვას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N ბ54. 26230386 07/02/2023 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს ინფორმაციას საბავშვო ბაგა-ბაღის საშტატო ნუსხით გათვალისწინებული ყველა თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობების და სამუშაო აღწერილობის შესახებ. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

.....

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულების პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები დაწერილია თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19 2018 წლის 8 თებერვალის დადგენილებით. (ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ) და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20 2018 წლის 8 თებერვალის დადგენილება (ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ). დაწესებულებას 2025წ. დანიშნული ყავს 1 აღმზრდელი, რომელის კვალიფიკაცია არ შეესაბამება თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N19 დადგენილებას. არ აქვს გავლილი აღმზრდელ პედაგოგის ტრენინგ მოდული. ახალდანიშნულ თანამშრომელს არ აქვს „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული. სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ ცნობა, ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიეცეს რეკომენდაცია: იყალთოს საბავშვო ზაგა-ბაღი დაკომპლექტდეს კანონდებლობისა და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19 2018 წლის 8 თებერვალის დადგენილებით განსაზღვრული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ. წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ზაგა-ბაღისთვის, სადაც გაწერილია, რომ 24 თვის ვადაში უზრუნველყოფენ ზაგა-ბაღის დაკომპლექტებას კანონდებლობისა და თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №19 2018 წლის 8 თებერვალის დადგენილებით განსაზღვრული პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

4. ზავშვთან მომუშავე საგანმანათლებლო პერსონალს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მუშაობს 5 აღმზრდელი და 6 აღმზრდელის თამაშემწე აქედან 2 აღმზრდელს აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი სექტიფიკატით. დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვს დანარჩენი საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება 24 თვის განმავლობაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

დაწესებულებას მიეცეს რეკომენდაცია შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების დაცვით უზრუნველყოს საგანმანათლებლო პერსონალის გადამზადება, რათა მათ ჰქონდეთ პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის კომპეტენცია.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4.1.2. დაწესებულებაში მოქმედებს პერსონალის მართვის მექანიზმი

1. დაწესებულებაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი წესების, მათ შორის, შინაგანაწესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54. 2625206001 25/07/2025 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“ და ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N 54. 26230386 07/02/2023 ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შინაგანაწესი. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 14-ის მიხედვით საბავშვო/ბაგა-ბაღის სამუშაო დრო განსაზღვრულია 09:00 საათიდან 16:15 საათამდე. ფუნქციონირებს საღამოს (გახანგრძლივებული) ჯგუფები, სადაც სამუშაო საათები განსაზღვრულია 09:00 საათიდან 18:15 საათამდე. საბავშვო/ბაგა-ბაღებში გახანგრძლივებულ ჯგუფებში მიიღებიან მხოლოდ ის აღსაზრდელები, რომელთა მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი დასაქმებულია, სოციალურად დაუცველის სტატუსით მოსარგებლეს, მარტოხელას და მრავალშვილიანი მშობელია. საქართველოს კანონის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ მუხლი N 21-ის მიხედვით განსაზღვრულია საჯარო დაწესებულების სასწავლო-სააღმზრდელო დღის ხანგრძლივობა 9 საათით. ამრიგად დარღვეულია კანონმდებლობის 21 მუხლი დღის ხანგრძლივობასთან მიმართებაში. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიეცეს რეკომენდაცია: საბავშვო ბაგა-ბაღის სამუშაო საათები განსაზღვროს „საქართველოს კანონის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ შესაბამისად- 9 საათით.



რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ.წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ზაგა-ბაღისთვის,სადაც გაწერილია,რომ 24 თვის ვადაში უზრუნველყოფენ საბავშვო ზაგა-ბაღის სამუშაო საათების განსაზღვრას „საქართველოს კანონის ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ” შესაბამისად- 9 საათით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

2. აღმზრდელ პედაგოგთან/აღმზრდელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათებს და მათ ფარგლებში განსახორციელებელ საქმიანობებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

აღმზრდელებთან დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები.აღნიშნულ ხელშეკრულებებში გაწერილი არ არის სამუშაო დროის განმავლობაში ჯგუფთან საკონტაქტო და არასაკონტაქტო საათები და მათ ფარგლებში განხორციელებულ საქმიანობების შესახებ ინფორმაცია,თუმცა შინაგანაწესის მუხლი N6 განსაზღვრულია არასაკონტაქტო საათები.40წთ. გასაუბრების დროს ზაგა-ბაღის მენეჯერთან, ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორთან გამოიკვეთა,რომ აღმზრდელის მიერ არასაკონტაქტო საათით სარგებლობის დროს მის ჯგუფში დარღვეულია აღმზრდელისა და ბავშვების თანაფარდობა.ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიეცეს რეკომენდაცია: ზაგა-ბაღის აღმზრდელებთან ისე დაიგეგმოს არასაკონტაქტო საათების გამოყენება, რომ არ დაირღვეს ჯგუფში აღმზრდელების თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან.შესაძლებელია ამისთვის გამოყენებული იქნას სათანადო აღმზრდელი.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ.წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ზაგა-ბაღისთვის,სადაც გაწერილია,რომ 24 თვის ვადაში უზრუნველყოფენ საბავშვო ზაგა-ბაღის აღმზრდელებთან ისე დაიგეგმოს არასაკონტაქტო საათების გამოყენება, რომ არ დაირღვეს ჯგუფში აღმზრდელების თანაფარდობა ბავშვთა რაოდენობასთან.შესაძლებელია ამისთვის გამოყენებული იქნას სათადარიგო აღმზრდელი.ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54. 2625206001 25/07/2025 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“.აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით (თავი 3 მუხლი 9) პერსონალის შერჩევა/დანიშვნა ხორციელდება პირდაპირი დანიშვნისა და კონკურსის საფუძველზე. დაწესებულება ეყრდნობა ამ კონკრეტული პოზიციისთვის შემუშავებულ სამუშაო აღწერილობას და იცავს ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპებს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

4. დაწესებულება უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54. 2625206001 25/07/2025 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით თავი N18 გაწერილია ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მექანიზმი: ახალი თანამშრომლისთვის ორგანიზაციის მისიის, ღირებულებების, ისტორიის, სტრუქტურის გაცნობა, ახალი თანამშრომლის გაცნობა გუნდის წევრებთან, ტრენინგების / სასწავლო კურსების უზრუნველყოფა, ამ წესის, შინაგანაწესის, მისი პოზიციისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, უსაფრთხოების წესების და დაწესებულებაში არსებული სხვა ადმინისტრაციული პროცედურების შესახებ ახალი თანამშრომლის ინფორმირება, მენტორინგის სისტემის არსებობა, უკუკავშირის კულტურის გაძლიერება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

5. დაწესებულებაში მოქმედი ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებაში მოქმედებს ორგანიზაციული კულტურა, რაც ეფუძნება თანამშრომლობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. დაწესებულების ღირებულებაა გუნდურობა და პოზიტიური თანამშრომლობა. ინტერვიუს შედეგად ბაგა-ბაღის მენეჯერმა და აღმზრდელებმა განაცხადეს, კარგად აქვთ გააზრებული თანამშრომლობის და გუნდურობის მნიშვნელობა და მომავალში ერთად დაგეგმვენ აქტივობებს, გაუზიარებენ ერთმანეთს სიახლეებს. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

.....

რჩევა

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



4.1.3. დაწესებულება ზრუნავს პერსონალის უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე

1. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების მიზნით პერსონალის საქმიანობის შეფასებას და საჭიროებათა მოკვლევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ზაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54. 2625206001 25/07/2025 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“. აღნიშნულ დოკუმენტის მუხლი N 19-ის მიხედვით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ყველა თანამშრომლის შეფასება და საჭიროებათა მოკვლევა. შეფასება მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ა) უნარები;
- ბ) დაკისრებული ფუნქციების შესრულების ხარისხი;
- გ) რესურსები და ინსტრუმენტები;
- დ) სამუშაო გარემო ;
- ე) კარიერული განვითარება ;
- ვ) სამუშაოსა და ცხოვრების ბალანსი;
- ზ) აღიარება და მოტივაცია;
- თ) უკუკავშირი და კომუნიკაცია;
- ი) ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობა.

ასევე საჭიროებათა მოკვლევა ხორციელდება შემდეგი მეთოდების გამოყენებით : ა) მართვა მიზნების მიხედვით;

ბ) შეფასება უშუალო ხელმძღვანელის მიერ; გ) გასაუბრება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება



2. პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54. 2625206001 25/07/2025 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“. აღნიშნულ დოკუმენტის მუხლი N 20-ის მიხედვით დაწესებულებამ პერსონალის განვითარებისთვის შესაძლოა გამოიყენოს შემდეგი მეთოდები: ა) ტრენინგი; ბ) ქოუჩინგი; გ) მენტორინგი; დ) პროექტები; ე) დელეგირება; ვ) სამუშაოს გამრავალფეროვნება; ზ) თვითგანვითარება; თ) კონსტრუქციული უკუკავშირი. ასევე დანართი N3 წარმოდგენილ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია პერსონალის განვითარებისთვის ტრენინგები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულება ხელს უწყობს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ინიციატივებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54. 2625206001 25/07/2025 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი“. აღნიშნულ დოკუმენტის მუხლი N 20-ის მიხედვით პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები წახალისებულია დაწესებულების მიერ. ინიციატივები შესაძლოა გამოიკვეთოს პერსონალის საჭიროების კვლევის შედეგად, ასევე ზეპირსიტყვიერად/წერილობით პერსონალის მხრიდან. წახალისების მექანიზმი გამოიხატება: ა)

პირდაპირი შეხვედრების ფორმატში გაჟღერებული საჭიროებებით კადრის უზრუნველყოფით და. მოტივირებული თანამშრომლებისთვის სხვადასხვა ტრენინგ კურსის დაფინანსებით. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის №54. 2625206001 25/07/2025 ბრძანებით დამტკიცებული, პერსონალის მართვის მარეგულირებელი დოკუმენტი
- 2 ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N ბ54. 26230386 07/02/2023 ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს შინაგანაწესი.
- 3 თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №20 2018 წლის 8 თებერვალის დადგენილება (ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი საჯარო დაწესებულების დირექტორის საკვალიფიკაციო მოთხოვნები
4. №19 2018 წლის 8 თებერვალის დადგენილება. (ადრეული აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მომსახურების მიმწოდებელი ან/და მხოლოდ სასკოლო მზაობის პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულების პერსონალის პროფესიული სტანდარტების დამტკიცების შესახებ
5. დანართი N9 სახით წარმოდგენილი დაწესებულების სტრუქტურა -ორგანოგრამა.
6. ინტერვიუს შედეგები ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორთან, ბაღის მენეჯერთან.
7. იყალთოს ბაგა-ბაღის სამტატო ნუსხა.



შეფასება:			
4.1. პერსონალის მართვა და განვითარება			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.2. პროცესების მართვა

4.2.1. დაწესებულების საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას

1. დაწესებულებას იდენტიფიცირებული და აღწერილი აქვს მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვს იდენტიფიცირებული და გაწერილი მმართველობითი, ძირითადი და დამხარე პროცესების აღმწერი დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვთ 12 თვის ვადაში ამ დოკუმენტის შექმნა და დამტკიცება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს საბავშვო ბაგა-ბაღს მიეცეს რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება აღნიშნულ ვადებში (12 თვეში).

რჩევა

.....

.....

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

.....

.....

2. პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

დაწესებულებას ამ ეტაპზე არ აქვთ გაწერილი დოკუმენტი, სადაც აღნიშნული იქნება, რომ პროცესების მართვა ხორციელდება ხარისხის ციკლის შესაბამისად. დაწესებულებას შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი აქვთ 12 თვის ვადაში ამ დოკუმენტის შექმნა და დამტკიცება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს საბავშვო ბაგა-ბაღს მიეცეს რეკომენდაცია: დაწესებულებამ უზრუნველყოს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება აღნიშნულ ვადებში (12 თვეში) მოამზადოს და დამტკიცოს პროცესების აღმწერი დოკუმენტი, სადაც გაწერილი იქნება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად პროცესების მართვა.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

3. დაწესებულებაში ბავშვის ჩარიცხვა და ამორიცხვა ხორციელდება დაწესებულების მიერ დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N 854.2625135001 15.05 2025წ ბრძანებით დამტკიცებულია ა. (ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესით განსაზღვრულია ბავშვის ჩარიცხვა-ამორიცხვის პრინციპები, პერიოდულობა, ვადები, ეტაპები და განხორციელების წესი, ბავშვის გადაყვანა, ზღვრული რაოდენობის ფარგლებში ბავშვის ჩარიცხვის წესი, სარეზერვო სიები და ამ წესით განსაზღვრული პროცესების წარმართვაზე პასუხისმგებელი პირი. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

4. დაწესებულება აწარმოებს ბავშვებისა და პერსონალის პირად საქმეებს დადგენილი წესის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერა

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N 854.2625135001 15.05.2025წ ბრძანებით დამტკიცებულია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი. აღნიშნული წესის მუხლი N 5 -ის მიხედვით გაწერილია ბაღში ჩარიცხული ბავშვისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი და მშობელთან ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულება. პერსონალის პირადი საქმისთვის საჭირო დოკუმენტების ჩამონათვალი გაწერილია ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N 8 54262506001 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესში. თუმცა პერსონალისა და ბავშვის პირადი საქმეების წარმოების წესი გაწერილი არ არის. არც გასაუბრების შედეგად ბაგა-ბაღის მენეჯერთან, დირექტორთან დასტურდება საქმის წარმოების წესის არსებობა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ არის.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მიეცეს რეკომენდაცია შეიმუშაოს ბავშვისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესი და აღნიშნული წესის მიხედვით მოხდეს საქმეების წარმოება.

რჩევა

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარება

ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ 14.12.2025წ. წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა თელავის მუნიციპალიტეტის იყალთოს ბაგა-ბაღისთვის, სადაც გაწერილია, რომ 24 თვის ვადაში უზრუნველყოფენ ბავშვისა და პერსონალის პირადი საქმეების წარმოების წესის შემუშავებას და აღნიშნული წესის მიხედვით მოახდენენ საქმეების წარმოებას. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 1. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N 854.2625135001 15.05.2025წ ბრძანებით დამტკიცებული ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოში შემავალი საბავშვო ბაგა-ბაღებში ბავშვების ჩარიცხვისა და ამორიცხვის მარეგულირებელი წესი
2. ა(ა)იპ თელავის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის N 8 54262506001 ბრძანებით დამტკიცებულ პერსონალის მართვის მარეგულირებელ წესი.
3. ინტერვიუს შედეგები ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორთან, ბაღის მენეჯერთან.

შეფასება:			
4.2 პროცესების მართვა			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.3. მატერიალური რესურსი

4.3.1. დაწესებულების მატერიალური რესურსი გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ ბავშვთა რაოდენობას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.3. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.3 მატერიალური რესურსი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☐	ნაწილობრივ შეესაბამება ☒	არ შეესაბამება ☐

4.4. კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი

4.4.1. დაწესებულების მიერ შეთავაზებული კვების მომსახურება ხელს უწყობს ბავშვის ჯანმრთელობასა და განვითარებას

აღნიშნული კომპონენტის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია დანართში „4.4. კომპონენტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასების კითხვარი“.

შეფასება:			
4.4 კვების ორგანიზება და კვებითი რაციონი			
შეესაბამება ☐	მეტწილად შეესაბამება ☒	ნაწილობრივ შეესაბამება ☐	არ შეესაბამება ☐

4.5. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები

4.5.1 დაწესებულებაში დაცულია სანიტარული და ჰიგიენური ნორმები

